ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1058505

ნომერი: AR1184841

თარიღი : 16.12.2013

გაცემის თარიღი : 25.12.2013

გაცნობის თარიღი : 25.12.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 17 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 19 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფიანი , ნაკვეთი 01/031 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფიანი , N 31 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა წერეთელი პ/ნ 01026011923
- ქ. თბილისი, ბალანჩივაძის მე-5 კორპ. ბ.15

ორგანიზაცია:
- შპს "კერა დეველოპმენტი" კოდი: 404913974

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2013 წლის 16 დეკემბრის #AR1184841 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 04.12.2013 წლის #1016931 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საპროექტო შენობების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ინდივიდუალურად განსაზღვრას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი განაცხადი სამართლებრივ აქტებში ცვლილების შეტანის ველში არასწორად იქნა რეგისტრირებული. საპროექტო ობიექტის ბლოკებად დაყოფა საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებას.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, შენობა-ნაგებობების კომპლექსის დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ობიექტ(ებ)ი, რომლებსაც გააჩნიათ დამოუკიდებლად მომუშავე საძირკვლის კონსტრუქციული სისტემა და რომელთა მშენებლობაც დასრულებულია სანებართვო პირობების შესაბამისად, შესაძლებელია მიღებულ იქნეს ექსპლუატაციაში დამოუკიდებლად. შესაბამისად, შეთანხმებული პროექტში ცვლილების შეტანა და საპროექტო ობიექტის ბლოკებად დაყოფა შესაძლებელი იქნება თუ საპროექტო შენობას გააჩნია ორი დამოუკიდებელი საძირკველი და არ აქვს კონსტრუქციული ბმა.

კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მიზნით განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი თანმიმდევრობით: ელექტრონული განაცხადების ველში აირჩიეთ „მშენებლობის ნებართვა“, აირჩიოთ შესაბამისი ფუნქციის ობიექტი, შეავსეთ საპროექტო ობიექტის პარამეტრების განმსაზღვრელი გრაფები, ქმედებების ჩამონათვალში აირჩიეთ „შეთანხმებული პროექტის ცვლილება“ და მონიშნეთ თქვენთვის სასურველი სტადია, რის შედეგადაც პროგრამა ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტაციის სიას.

სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge